დაკვეთა №50/2022

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №217-ში (ს/კ 01.72.14.007.711), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2022 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

სარჩევი

№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	მიწერილობა	2
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	3 – 10
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	11 – 12
5	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	13
6	წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა	14 – 17
7	გრუნტის სიმკვრივის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლის შედეგები (დანართი 1)	18 – 20
	III გრაფიკული მასალა	
8	უბნის ტოპოგეგმა 1:1000 მასშტაბში, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
9	უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
10	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№2 – 3
11	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№4 – 9
12	პირობითი აღნიშვნები	ფ. №10

მიწერილობა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №217-ში (ს/კ 01.72.14.007.711) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის შენებლობისთვის გამოქოფილ უბანზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ.პ. 1.19, 1,21, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანს წარმოადგენს საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების გადაწყვეტა.

ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის 217-ში (ს/კ 01.72.14.007.711).

დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური დახასიათება მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

სამშენებლო უბანი თავისუფალია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

უშუალოდ მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ადრე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესახებ ცნობილი არ არის.

გეომორფოლოგიურად, საკვლევი უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალისპირა ტერასის ნაწილს, აღმოსავლეთისკენ მცირედ დახრილი რელიეფით.

უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესასწავლად, საბურღი დაზგისთვის მისადგომ ადგილებში და შენობის კონტურის ფარგლებში დამკვეთთან შეთანხმებით გაიბურღოს 5 ჭაბურღილი.

ბურღვა ჩატარდეს საბურღი დაზგით „ШБ 1 ვს", მექანიკური-სვეტური მეთოდით, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვროს 15,0 მ-მდე თითოეული.

უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული კვლევისთვის, აღებულ იქნეს გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ.3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.

საკვლევ უბანზე გავრცელებული გრუნტის წყლების ქიმიური შემადგენლობის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიულობის ხარისხის განსასაზღვრავად, ჭაბურღილებიდან აღებული იქნას წყლის სინჯები არანაკლები 3-სა (სნ და წ 1.02.07–87-ის, პ. 3.56).

შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ და წ 1.02.07-87 მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად, აიკინძოს 2 ეგზემპლარად და შესრულდეს ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსის"
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №217-ში (ს/კ 01.72.14.007.711), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „ისთეით დეველოპმენტის“ დაკვეთით (დაკვ.№50/2022), შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, 2022 წლის ივნისში, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №217-ში, მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი ითვალისწინებდა სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლას და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების გადაწყვეტას.

დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია გადმოცემულ ტექნიკურ დავალებაში.

უშუალოდ გამოყოფილი ნაკვეთის ფარგლებში, წინა წლებში ჩატარებული კვლევის შესახებ ცნობილი არ არის. საერთოდ რაიონში კი აღნიშნული შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ, სხვადასხვა ობიექტებზე წინა წლებში ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია ადგილობრივ არქივში და გამოყენებულია წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

ზემოთ აღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სნ და წ 1.02.07-87, პნ 02.01-08, პნ 01.01-09) მოთხოვნის საფუძველზე შედგენილი მიწერილობის მიხედვით და ასევე დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილებში გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი – №№1÷5, სიღრმით 15 მ თითოეული.

ბურღვა ჩატარდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“ 160 მმ-დე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

უბანზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, ჭაბურღილებიდან აღებული იქნა დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 14 ნიმუში, ხოლო გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის და ბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად აღებული იქნა წყლის 3 სინჯი.

გრუნტების ნიმუშების და წყლის სინჯების შესწავლა ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსის” გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. შედეგები ერთვის დასკვნას.

საველე სამუშაოები ჩატარდა წამყვანი ინჟინერ გეოლოგის კ. სირაძის ხელმძღვანელობით.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, საპროექტო შენობის კონტურის და ჭაბურღილების განლაგების

დატანით. ამ ტოპოგეგმის მიხედვით შესრულდა ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა და უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილების აგება.

გეომორფოლოგიურად, სამშენებლო უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალისზედა ტერასის ნაწილს, ტექნოგენური უსწორმასწორო რელიეფით.

პნ 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, უბნის კლიმატური მახასიათებლების მნიშვნელობები უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურის „ავჭალას“ (51) მონაცემების მიხედვით, შემდეგია:

– წლის საშუალო ტემპერატურა – +12,4°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –24°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი – +40°C;

– ნალექების რაოდენობა წელიწადში – 570 მმ;

– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;

– ქარის წნევის ნორმატული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,85 კპა;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

ჩატარებული კვლევის მონაცემების საფუძველზე შედგენილია ჭაბურღილების სვეტების და უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბანზე მიწის ზედაპირიდან 2,80–6,5 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ტექნოგენური (tQIV) – ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი თიხოვანი გრუნტების, ღორღის, კენჭების და აგურის ნატეხების ნარევით (ფენა 1). ნაყარის ქვეშ უბნის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხის ნაწილებში შესაბამისად 5,0 და 2,8 მ-ის სიღრმიდან 7,0–5,0 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია ალუვიური (αQIV) მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი თიხის 24,0–27,5%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტით (ფენა 2). კენჭნარების ქვეშ 7,0–5,0 მ-ის სიღრმიდან, ხოლო დანარჩენ უბანზე ნაყარი გრუნტის ქვეშ 4,0–6,5 მ-ის სიღრმიდან კვლევის სიღრმემდე 15,0 მ, გავრცელებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები, წარმოდგენილი უმთავრესად მოლურჯო ფერის არგილითებით, ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით. ძირითადი ქანები ეროზიული ზედაპირიდან 3,7–5,8 მ-ის სიმძლავრის ფარგლებში ძლიერ გამოფიტულია, გათიხებულია და შეიძლება დახასიათდეს, როგორც დედაქანის დისპერსიული ზონა (ფენა 3). სიღრმეში ძირითადი ქანების გამოფიტულობა უმნიშვნელოდ მცირდება, შრეობრიობა მატულობს, ალაგ-ალაგ აღინიშნება თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეები და შეიძლება დახასიათდეს, როგორც გამოფიტული (ფენა 4).

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ უბანი ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით, რომელიც დაფიქსირდა ყველა ჭაბურღილით მიწის ზედაპირიდან 5,8–9,0 მ-ის სიღრმის ფარგლებში. წყლის დონეები დამყარდა იმავე სიღრმეებზე.

გენეტიკურად გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგად ჩაჟონილ წყალს. მისი დონის ცვალებადობაზე რეჟიმული დაკვირვებები არ არსებობს. მაქსიმალურ დონედ შეიძლება მიღებული იქნეს +0,5 მ გამოვლენილ დონეებთან შედარებით.

როგორც აღინიშნა ზემოთ, უბანზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, აღებული იყო დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის 14 ნიმუში და გრუნტის წყლის 3 სინჯი.

დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში აღებულია ძირითადი ქანებიდან, 6 ნიმუში ზედა გათიხებული ფენიდან (ფენა 3), ხოლო 6 ნიმუში ქვედა გამოფიტული ფენიდან (ფენა 4) – 3 ნიმუში არგილითებიდან და 3 ნიმუში ქვიშაქვებიდან.

დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში აღებულია მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 2).

ლაბორატორიაში ძირითადი ქანის გათიხებული ფენის (ფენა 3), ნიმუშებზე განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, ხოლო გამოფიტულზე მოხერხდა სიმკვრივის და „Controls“-ის ფირმის ხელსაწყოზე სიმტკიცის განსაზღვრა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში.

ქვემოთ, ცხრილ 1-ში მოცემულია გათიხებული ძირითადი ქანის (ფენა 3) ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო ნორმატიული მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,18–0,21	0,19
2	ტენიანობა		W	%	18,0–20,10	19,10
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,86–1,94	1,90
		მშრალი გრუნტის	$ρ_d$		1,57–1,63	1,59
		გრუნტის ნაწილაკების	$ρ_s$		2,70–2,71	2,71
4	ფორიანობა		n	%	39,9–42,10	41,20
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,664–0,728	0,700
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,03–0,21	0,12
7	ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,69–0,78	0,74

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი (ფენა 3) პლასტიკურობის რიცხვის მიხედვით მიეკუთვნება თიხას, რომლის კონსისტენცია ნახევრადმყარია და გრუნტი ტენიანობის ხარისხის მიხედვით არასრულად წყალგაჯერებულია.

ცხრილში მოცემული საშუალო მნიშვნელობები საჭიროებისას გამოიყენება საანგარიშოდ.

გამონაკლისს წარმოადგენს გრუნტის სიმკვრივე „ρ“. ვინაიდან აღნიშნული სიდიდე შედის ფუძის ანგარიშის ფორმულაში, ჩატარდა ამ მიღებული სიდიდის სტატისტიკური დამუშავება სტანდარტი 20522-75-ში მოცემული მეთოდიკის მიხედვით.

სტატისტიკური დამუშავების შედეგები ერთვის დასკვნას დანართი 1-ის სახით, ხოლო მნიშვნელობები მოცემულია დასკვნით ნაწილში.

როგორც აღინიშნა ძირითადი ქანების გამოფიტული ფენის ნიმუშებზე (ფენა 4) ლაბორატორიაში მოხერხდა სიმტკიცის და სიმკვრივის განსაზღვრა. გამოფიტულობის გამო გრუნტის სიმტკიცის და სიმკვრივის მნიშვნელობები, როგორც ქვიშაქვებისთვის ისე არგილითებისთვის მიღებული იქნა მკვეთრად დაბალი.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში მოცემულია ძირითადი ქანის (ფენა 4) მდგენელი ფენების ქვიშაქვების და არგილითების ლაბორატორიული გამოცდით მიღებული მნიშვნელობები და გამოთვლილია საშუალო მნიშვნელობები.

ცხრილი 2

№	გრუნტის დასახელება	ჭაბ. №№	ნიმუშის აღების სიღრმე	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c მპა (კგძ/სმ²)	სიმკვრივე ρ გ/სმ³
1	ქვიშაქვა (ფენა 4)	ჭაბ.№1	14,0	5,3 (53)	2,12
2		ჭაბ.№5	10,0	4,1 (41)	2,09
3		ჭაბ.№5	13,0	4,8 (48)	2,11
საშუალო მნიშვნელობა				4,7 (47)	2,11
4	არგილითი (ფენა 4)	ჭაბ.№1	11,0	0,8 (8)	2,00
5		ჭაბ.№3	11,5	0,81 (8,1)	2,02
6		ჭაბ.№3	13,5	1,2 (12)	2,07
საშუალო მნიშვნელობა				0,94 (9,4)	2,03

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით ფენა 4-ის ძირითადი ქანი Სნ 02.01-08-ის საკლასიფიკაციო ცხრილი 1-ის თანახმად მიეკუთვნება ნახევრადკლდოვან გრუნტს. $\overline{R_c}$=4,7 მპა (47 კგძ/სმ²), $\overline{\rho}$=2,11 გ/სმ³.

ძირითადი ქანის მდგენელი შრეების ქვიშაქვების და არგილითების სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობები მკვეთრად განსხვავდებიან, ამიტომ მთლიანი მასივისთვის საანგარიშო მნიშვნელობად მიღებული უნდა იქნეს მათი გასაშუალებელი მნიშვნელობა.

$\overline{R_C}=\frac{R_{C_{ქვ.ქვა}}+R_{C_{არგ.}}}{2}=\frac{47+9.4}{2}=\frac{56.4}{2}$=2,82 მპა (28,2 კგძ/სმ^2).

$\overline{\rho}$=2,11 გ/სმ^3+2,03 გ/სმ^3=2,07 გ/სმ^3.

როგორც მსხვილნატეხოვანი გრუნტის გრანულომეტრიული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, იგი მიეკუთვნება თიხის 30%-მდე შემავსებლიან კენჭნაროვან გრუნტს (ფენა 2).

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით გამოკვლეული წყალი-გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას:
   ა) ძლიერ აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W4 მარკის ბეტონისადმი;
   ბ) სუსტად აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W6–W8 მარკის ბეტონებისადმი.
2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S<65%, C_3A<7%, C_3A+C_4AF<22%, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W4–W6–W8 მარკის ბეტონებისადმი.

II. არმატურის მიმართ:
   – არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
   – საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით, უბანზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ აღინიშნება, თუმცა უბანზე გავრცელებული ნაყარი გრუნტის არსებობა, რომელიც სეისმურად მიეკუთვნება III კატეგორიას და მისი სიმძლავრე ზოგან აღემატება 5 მ-ს, წარმოადგენს სეისმურად არახელსაყრელი გრუნტის კატეგორიას და არახელსაყრელი ფაქტორია.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, მიეკუთვნება – II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. უბანზე გავრცელებულ გრუნტებში, სამშენებლო თვისებების მიხედვით, გამოიყოფა 4 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (**სბე**):

   I სბე – ტექნოგენური – ნაყარი გრუნტი (ფენა 1);

   II სბე – კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2);

   III სბე – ძლიერ გამოფიტული – გათიხებული ძირითადი ქანი (ფენა 3);

   IV სბე – გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4).

3. უბნის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნების ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს დაფუძნება **III სბე**-ზე – გათიხებულ ძირითად ქანზე (ფენა 3).

   საძირკვლის ტიპი ამ შემთხვევაში შეიძლება მიღებული იქნეს ჩვეულებრივი – ნებისმიერი (ლენტური, ცალკემდგომი, რკინაბეტონის ფილა).

   არ გამოირიცხება დაფუძნება განხორციელდეს ნაყარი გრუნტის (ფენა 1) მონაცვლეობით, ხელოვნურ ფენობრივად მოტკეპნილ ხრეშ-კენჭნარის ბალიშზე.

4. საძირკვლების ანგარიშებისათვის, ქვემოთ ცხრილ 3-ში მოცემულია ოთხივე **სბე**-ს გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების მნიშვნელობები, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, საარქივო მასალების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის (საანგარიშო თეორიული ცნობარი) გამოყენების საფუძველზე.

ცხრილი 3

№	ბრუნტების მახასიათებლები			საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები			
				I სბე (ფენა 1)	II სბე (ფენა 2)	III სბე (ფენა 3)	IV სბე (ფენა 4)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ³	II ზღვრული მდგომარეობა (ფუძის ანგარიში დეფორმაციაზე)	$\frac{\rho_{\|\|}^1}{\rho_{\|\|}^2}$	1,8	1,95	$\frac{1.91}{1.89}$	2,07
		I ზღვრული მდგომარეობა (ფუძის ანგარიში მზიდუნარიანობაზე)	$\frac{\rho_{\|}^1}{\rho_{\|}^2}$			$\frac{1.92}{1.88}$	
		ნორმატიული მნიშვნელობა	$\rho_{ნ}$			1,90	
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ²)			23(0,23)	10(0,10)	61(0,61)	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°			20	35	20	–
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)			10(100)	40(400)	23(230)	–
5	საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)			120(1,2)	400(4,0)	350(3,5)	–
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{c,n}$ კპა (კგძ/სმ²)			–	–	–	2820 (28,2)
7	საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ³			2,0	6,0	3,5	60
8	პუასონის კოეფიციენტი μ			0,35	0,27	0,42	0,30

5. საძირკვლების ჩაღრმავებისას გრუნტის წყლის დონემდე, საჭირო იქნება წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. წყლის საორიენტაციო მოდენი ქვაბულის თითოეული მ²-დან მიღებული იქნეს 0,02 ლ/წმ.

6. გრუნტის წყლის ცირკულაციის ზონაში მოხვედრილი კონსტრუქციები დამზადებული იქნეს გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის დასკვნაში რეკომენდებული ცემენტებით.

7. ხელოვნური ფუძის ფენობრივად მოტკეპნილი ხრეშ-კენჭნარის ბალიშის გამოყენების შემთხვევაში დეფორმაციის მოდული მიღებული იქნეს E=35 მპა (350 კგძ/სმ²), პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=300 კპა (3,0 კგძ/სმ²).

8. პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

   უბანზე გავრცელებული გრუნტები, სეისმური თვისებების მიხედვით, მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2), ძირითადი ქანები (ფენები 3 და 4) – II კატეგორიას.

ვინაიდან უბანზე გავრცელებული სეისმურად არახელსაყრელი ნაყარი გრუნტის შრე აღემატება 5 მ-ს იგი მიეკუთვნება არახელსაყრელი გრუნტის კატეგორიას და უბნის საანგარიშო სეისმურობა შეიძლება განისაზღვროს გრუნტული პირობების მიხედვით.

სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისისთვის A=0,17.

9. ქვაბულის ან თხრილების ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის პპ 3.11, 3.12, 3.15 და სნ და წ. III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV-2-82-ის 1-1 ცხრილის თანახმად, მიეკუთვნებიან:
    ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24ა);
    ბ) კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 2) – დამუშავების სამივე სახეობისთვის – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ^3 (რიგ.№6^3);
    გ) ძირითადი ქანი გათიხებული (ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებიას – IV ჯგუფს, ბულდოზერით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1900 კგ/მ^3 (რიგ.№8დ);
    დ) ძირითადი ქანი გამოფიტული (ფენა 4) – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – V ჯგუფს, ხელით დამუშავებისას – Vр ჯგუფს, სიმკვრივით 2070 კგ/მ^3 (რიგ.№3ა).

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი კ. სირაძე

შპს „გეოინჟკომპლექსის"
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. დავით აღმაშენებლის ხეივანი №217 (ს.კ. 01.72.14.007.711) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

№№	გამონამუშევარი	ალების სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფ-ტი		დენადობის მაჩვენებელი	ტენიანობის ხარისხი	წონასწორი შეკუმშვის მაჩვენებელი	დამარილიანების ხარისხი	ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა	თაბაშირის შემცველობა	კარბონატების შემცველობა	ბრუნტის დასახელება
					დენადობის ზღვარი	პლასტიკურ. ზღვარი	რიცხვი		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების		საწყისი	დენადობის ზღვარზე								
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	D_{sal}	-	$CaSO_4 \cdot 2H_2O$	$CaCO_3$	
		მ			-	-	-	%	გ/სმ^3			%	-	-	-	-	-		%	%	%	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
1	ჭაბ. №1	7,0	მონ.	548	0,33	0,15	0,18	18,7	1,89	1,59	2,70	41,0	0,696	0,891	0,21	0,73	0,12	არა დამ.	1,1	0,8	3,0	თიხა (არგილითი)
2		9,0	მონ.	549	0,35	0,17	0,18	20,1	1,88	1,57	2,70	42,0	0,725	0,945	0,17	0,75	0,13					თიხა (არგილითი)
3		11,0	მონ.	550					2,00													არგილითი
4		14,0	მონ.	551					2,12													ქვიშაქვა
5	ჭაბ. №3	5,0-7,0	დარღ. სტრ.	552	0,36	0,18	0,18	16,3							-0,09							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
6		8,0	მონ.	553	0,37	0,18	0,19	18,6	1,86	1,57	2,71	42,1	0,728	1,003	0,03	0,69	0,16					თიხა (არგილითი)
7		10,0	მონ.	554	0,38	0,19	0,19	19,9	1,89	1,58	2,71	41,8	0,719	1,030	0,05	0,75	0,18	არა დამ.	0,7	0,4	2,0	თიხა (არგილითი)
8		11,5	მონ.	555					2,02													არგილითი
9		13,5	მონ.	556					2,07													არგილითი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
10	ჭაბ. №5	3,0-5,0	დარღ. სტრ.	557	0,38	0,20	0,18	14,5							-0,31							კენჭნაროვანი ბრ. შემ. თიხა
11		6,0	მონ.	558	0,35	0,16	0,19	18,0	1,91	1,62	2,70	40,1	0,668	0,945	0,11	0,73	0,17	არა დამ.	0,8	0,5	2,0	თიხა (არგილითი)
12		8,0	მონ.	559	0,37	0,16	0,21	19,1	1,94	1,63	2,71	39,9	0,664	1,003	0,15	0,78	0,20					თიხა (არგილითი)
13		10,0	მონ.	560					2,09													ქვიშაქვა
14		13,0	მონ.	561					2,11													ქვიშაქვა

					გრანულომეტრული შემადგენლობა, % ფრაქციის ზომა, მმ							ბრუნტის დასახელება
					>60	60-40	40-20	20-10	10-5	5-2	<2	
1	ჭაბ. №3	5,0-7,0	დარღ. სტრ.	552	20,3	8,9	11,1	15,5	6,9	9,8	27,5	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა
2	ჭაბ. №5	3,0-5,0	დარღ. სტრ.	557	15,4	16,3	18,0	14,7	5,5	6,1	24,0	კენჭნაროვანი ბრუნტი შემ. თიხა

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ ჟიმიკოსი ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. დავით აღმაშენებლის ხეივანი №217 (ს.კ. 01.72.14.007.711) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

№№	გამონამუშევარი	ალების სიღრმე	ბაგირების ტიპი	ლაბ. №	სიმკვრივე	დიამეტრი	ფართობი	ეკვივალენტური დიამეტრი		მრღვევი ძალა	სიმტკიცის ზღვარი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ზღვარი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.)	სიმკვრივე	ბრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	$Rc\ (\delta_{uc})$	ρ	
		მ			მმ	მმ	მმ^2	მმ^2	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	გ/სმ^3	
1	ჭაბ. №1	11,0	d -არასწორი ფორმის	550	60,0	40,4	2424,0	3086,3	55,55	0,098	0,03	1,05	0,03	24,0	0,80	2,00	არგილითი
2		14,0	d -არასწორი ფორმის	551	80,9	40,4	3268,4	4161,4	64,51	0,802	0,19	1,12	0,22	24,5	5,30	2,12	ქვიშაქვა
3	ჭაბ. №3	11,5	d -არასწორი ფორმის	555	55,2	38,0	2097,6	2670,7	51,68	0,091	0,03	1,01	0,03	23,5	0,81	2,02	არგილითი
4		13,5	d -არასწორი ფორმის	556	41,7	32,6	1359,4	1730,9	41,60	0,107	0,06	0,92	0,06	21,0	1,20	2,07	არგილითი
5	ჭაბ. №5	10,0	d -არასწორი ფორმის	560	79,1	38,0	3005,8	3827,1	61,86	0,582	0,15	1,10	0,17	24,5	4,10	2,09	ქვიშაქვა
6		13,0	d -არასწორი ფორმის	561	65,5	38,7	2534,9	3227,5	56,81	0,609	0,19	1,06	0,20	24,0	4,80	2,11	ქვიშაქვა

ინჟინერი მ. ჭარბაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. დავით აღმაშენებლის ხეივანი №217 (ს.კ. 01.72.14.007.711)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

წყალკუნქტის დასახელება ჭაბ № 1	სინჯის აღების თარიღი: 01. 06. 2022
სინჯის აღების სიღრმე **h** = 7,7 მ	

ლაბ. № 58

სიხისტე

დასახელება	გერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	99,0	35,3
კარბონატული	16,8	6,0
არაკარბონატ.	82,2	29,3
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	2832,89
ნახშირორჟანგი **CO_2**		
თავისუფალი **CO_2**	მგ/ლ	66,00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{2,8}\frac{SO^{4}_{78}\ HCO^{3}_{14}}{Ca_{68}\ Na_{20}\ Mg_{12}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	7,1

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	**Cl^-**	136,46	3,84	8,72
	სულფატი	**SO_4^{2-}**	1645,60	34,26	77,68
	ჰიდროკარბონატი	**HCO_3^-**	366,00	6,00	13,60
	კარბონატი	**CO_3^{2-}**	0,00	0,00	0,00
	ჯამი		2148,06	44,11	100,00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	**Na^++K^+**	201,54	8,76	19,87
	კალციუმი	**Ca^{2+}**	600,96	29,99	67,99
	მაგნიუმი	**Mg^{2+}**	65,33	5,36	12,14
	ჯამი		867,83	44,11	100,00

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. დავით აღმაშენებლის ხეივანი №217 (ს.კ. 01.72.14.007.711)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

წყალჯუნჭტის დასახელება ჭაბ № 3	სინჯის აღების თარიღი: 01. 06. 2022
სინჯის აღების სიღრმე **h** = 9,0 მ	

ლაბ. № 59

სიხისტე

დასახელება	გერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	97,0	34,6
კარბონატული	14,0	5,0
არაკარბონატ.	83,0	29,6
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	2811,93
ნახშირორჟანგი **CO_2**		
თავისუფალი **CO_2**	მგ/ლ	88,00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{2,8}\ \frac{SO^4_{80}\ HCO^3_{12}}{Ca_{70}\ Na_{20}\ Mg_{10}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_pH$	7,1

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	**Cl^-**	136,46	3,84	8,85
	სულფატი	**SO_4^{2-}**	1660,50	34,57	79,63
	ჰიდროკარბონატი	**HCO_3^-**	305,00	5,00	11,52
	კარბონატი	**CO_3^{2-}**	0,00	0,00	0,00
	ჯამი		2101,96	43,42	100,00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	**Na^++K^+**	202,09	8,79	20,24
	კალციუმი	**Ca^{2+}**	608,11	30,35	69,89
	მაგნიუმი	**Mg^{2+}**	52,26	4,28	9,87
	ჯამი		862,47	43,42	100,00

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	წყლის ქიმიური ანალიზის შ ე დ ე გ ე ბ ი	

ო ბ ი ე ქ ტ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა

ქ. თბილისი. დავით აღმაშენებლის ხეივანი №217 (ს.კ. 01.72.14.007.711)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი

წყალჯუნჭტის დასახელება ჭაბ № 5	სინჯის აღების თარიღი: 01. 06. 2022
სინჯის აღების სიღრმე **h** = 6,7 მ	

ლაბ. № 60

სიხისტე

დასახელება	გერმანული გრადუსი	მგ/ექვ
საერთო	96,0	34,3
კარბონატული	16,8	6,0
არაკარბონატ.	79,2	28,3
მინერალიზაცია		
საერთო მინერალიზაცია	მგ/ლ	2910,12
ნახშირორჟანგი **CO_2**		
თავისუფალი **CO_2**	მგ/ლ	66,00

წყლის მარილოვანი შემადგენლობა

(კურლოვის ფორმულა)

$$M_{2,9}\ \frac{SO^{4}_{78}\ HCO^{3}_{13}}{Ca_{67}\ Na_{24}\ Mg_{10}}$$

ქიმიური შემადგენლობა

წყალბადიონის მაჩვენებელი	$_{p}H$	7,1

	იონები		მგ/ლ	მგ/ექვ	მგ/ექვ,%
ანიონები	ქლორი	**Cl^-**	136,46	3,84	8,54
	სულფატი	**SO_4^{2-}**	1690,00	35,19	78,14
	ჰიდროკარბონატი	**HCO_3^-**	366,00	6,00	13,32
	კარბონატი	**CO_3^{2-}**	0,00	0,00	0,00
	ჯამი		2192,46	45,03	100,00
კათიონები	ნატრიუმი კალიუმი	**Na^++K^+**	247,43	10,76	23,89
	კალციუმი	**Ca^{2+}**	600,96	29,99	66,60
	მაგნიუმი	**Mg^{2+}**	52,26	4,28	9,51
	ჯამი		900,65	45,03	100,00

დ ა ს კ ვ ნ ა

წყლის სტანდარტული ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით

ლაბ. №№58-59-60

ჰიდროგეოლოგიური პირობები: წყალშემცავი ფენა №№1-3-5 ჭაბურღილების უბნებზე h_1=7,7 მ, h_3=9,0 მ და h_5=6,7 მ სიღრმეებზე წარმოდგენილია გათიხებული არგილითებით.

ფილტრაციის კოეფიციენტი $K_ფ$<0,1 მ/დღ

საპროექტო კონსტრუქციის მოკლე დახასიათება:

დასაპროექტებელი კონსტრუქცია რკინა - ბეტონის საძირკველი.

გამოკვლეული წყალი - გარემო:

I. დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონების მიმართ ამჟღავნებს სულფატური აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) გამოყენებისას
   - ძლიერ აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W_4 მარკის ბეტონისადმი;
   - სუსტად აგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W_6 -W_8 მარკის ბეტონებისადმი.

2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S<65%, C_3A<7%, $C_3A + C_4AF$<22%, წიდაპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას

   - არააგრესიულია წყალშეუღწევადობის მიხედვით W_4-W_6-W_8 მარკის ბეტონებისადმი.

II. არმატურის მიმართ:
   - არ არის აგრესიული წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
   - საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

ს ნ და წ 2.03. 11. 85
„სამშენებლო ნაგებობათა დაცვა კოროზიისაგან"
(ცხ. №№5, 6, 7)

ანალიზი ჩაატარა ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

17.06.2022

დანართი 1

ბრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ^3) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა

(ფენა 3)

გრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ³) ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა

№№	ρ_i	$\rho^{ნ}$	$\rho^{ნ} - \rho_i$	$\left(\rho^{ნ} - \rho_i\right)^2$
1	1,86	1,90	0,04	0,0016
2	1,88	1,90	0,02	0,0004
3	1,89	1,90	0,01	0,0001
4	1,89	1,90	0,01	0,0001
5	1,91	1,90	-0,01	0,0001
6	1,94	1,90	-0,04	0,0016
∑	11,37	-	-	0,0039

გრუნტის სიმკვრივის (ρ გ/სმ³) ნორმატიული (საშუალო) მნიშვნელობა

$$\rho^{ნ} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}\rho_i = \frac{11.37}{6} = 1.90 \text{ გ/სმ}^3$$

$$\rho^{ნ} = 1.90 \text{ გ/სმ}^3$$

შემოწმება უხეშ შეცდომაზე $\left|\rho^{ნ} - \rho_i\right| \le \nu\sigma_{გად}$

როცა n=6, ν=2.07

$$\sigma_{გად} = \sqrt{\frac{1}{n}\sum_{i=1}^{n}\left(\rho^{ნ} - \rho_i\right)^2} = \sqrt{\frac{0.0039}{6}} = 0.03$$

$$\nu\sigma_{გად} = 2.07 \times 0.03 = 0.05$$

მოცემულ ცხრილში დაცულია პირობა $\left|\rho^{ნ} - \rho_i\right| \le \nu\sigma_{გად}$, ამდენად, ρ_i ყველა მნიშვნელობა ვარგისია გაანგარიშებისათვის.

საშუალო კვადრატული გადახრა

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{n-1}\sum_{i=1}^{n}\left(\rho^{ნ} - \rho_i\right)^2} = \sqrt{\frac{0.0039}{6-1}} = 0.03$$

ვარიაციის კოეფიციენტი

$$v = \frac{\sigma}{\rho^{ნ}} = \frac{0.03}{1.90} = 0.015$$

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები მეორე ზღვრული მდგომარეობისათვის (დეფორმაციის მიხედვით) α=0,85.

როცა n-1=6-1=5, გვაქვს t_α=1.16

სიზუსტის მაჩვენებელი

$$\rho = \frac{t_\alpha v}{\sqrt{n}} = \frac{1.16 \times 0.015}{\sqrt{6}} = 0.007$$

უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$k_გ = \frac{1}{1 \pm \rho}$$

$$k_{ზ}=\frac{1}{1+0.007}=0.993 \qquad k_{ზ}=\frac{1}{1-0.007}=1.007$$

გრუნტის სიმკვრივე

$$\rho=\frac{\rho^{ნ}}{k_{ზ}}$$

$$\rho_{\|}^{1}=\frac{1.90}{0.993}=1.91\ \text{გ/სმ}^3 \qquad \rho_{\|}^{2}=\frac{1.90}{1.007}=1.89\ \text{გ/სმ}^3$$

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის (ამტანუნარიანობის მიხედვით) α=0,95.

როცა n-1=6-1=5, გვაქვს t_{α}=2.01

სიზუსტის მაჩვენებელი

$$\rho=\frac{t_{\alpha}v}{\sqrt{n}}=\frac{2.01\times 0.015}{\sqrt{6}}=0.012$$

უსაფრთხოების კოეფიციენტი

$$k_{ზ}=\frac{1}{1+0.012}=0.988 \qquad k_{ზ}=\frac{1}{1-0.012}=1.012$$

გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობები

$$\rho_{|}^{1}=\frac{1.90}{0.988}=1.92\ \text{გ/სმ}^3 \qquad \rho_{|}^{2}=\frac{1.90}{1.012}=1.88\ \text{გ/სმ}^3$$

